საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA050128117120013

№ 129/ო თბილისი **02 / დეკემბერი / 2013 წ.**

მ ო ს ა კ რ ე ბ ლ ი ს გ ა დ ა ხ დ ი ს გ ა რ ე შ ე გ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ ი ს ა ჯ ა რ ო ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ი ს მ ი ნ ი მ ა ლ უ რ ი ო დ ე ნ ო ბ ი ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ი ს შ ე ს ა ხ ებ

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 იანვრის N10 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

განისაზღვროს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გარეშე გასაცემი საჯარო ინფორმაციის შემდეგი მინიმალური ოდენობა:

ა) A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი - 500 (ხუთასი) ფურცლამდე;

ბ) ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდილი ასლი - 1000 (ათასი) ფურცლამდე.

ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, საკუთარი ინიციატივით ან პირის შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის გარეშე ერთჯერადად გასაცემი საჯარო ინფორმაციის ოდენობის შესახებ, ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში.

ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს მინისტრის პირველმა მოადგილემ, თენგიზ შერგელაშვილმა.

მინისტრი დავით ნარმანია